განმარტებითი ბარათი
„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისას საქართველოს ეროვნული ბანკის ზოგიერთი უფლებამოსილების დაზუსტების საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დაზუსტდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე დაკონკრეტდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ნებადართული საქმიანობის ჩამონათვალი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანანხმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეძლევა საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოცემის უფლება.

კანონპროექტის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის შეძენის მსურველი პირი ვალდებული იქნება წერილობით მიმართოს ეროვნულ ბანკს და მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ თანხმობა მიიღოს ეროვნული ბანკიდან.

ეროვნული ბანკი მნიშვნელოვანი წილის შეძენის მსურველი პირის განაცხადს განიხილავს მისი წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში და დაინტერესებულ პირს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე აძლევს თანხმობას ან ეუბნება დასაბუთებულ უარს. განაცხადის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ჩაითვლება შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემად.

მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ გარიგება ბათილია, თუ დაინტერესებულმა პირმა ეროვნულ ბანკს არ წარუდგინა განაცხადი ან ეროვნული ბანკისაგან მიიღო დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც შეიძინა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილი.

ეროვნული ბანკს აგრეთვე ენიჭება უფლებამოსილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციას დაუწესოს მის მიერ გაცემულ მიკროსესხებზე რეფინანსირების ან

საკუთარი სახსრებით დაფარვის შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიოს პირობები და ზღვრული ოდენობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ბანკი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორი: დავით ონოფრიშვილი